

IV



ზოგადი უნარების ტესტი

2005

ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი – ვერბალური და მათემატიკური – ნაწილისაგან. თითოეული ნაწილი 50 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ პასუხების ფურცელზე).

ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. ზოგადი უნარების ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი. დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

თუ გათვალისწინებულზე მეტი დროით შეყოვნდებით ტესტის ამა თუ იმ ნაწილზე, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადაადით შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისათვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას !

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუჭი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

მაგალითად:

კენჭი : ქვა

(ა) ველოსიპედი : მანქანა

(ბ) ბილიკი : გზა

(გ) ოთახი : ბინა

(დ) ფოთოლი : ბუჩქი

სწორი პასუხია (ბ), რადგან მიმართება – "ბილიკი არის მომცრო გზა" – მსგავსია მიმართებისა – "კენჭი არის მომცრო ქვა".

1. ცხვარი : ფარა

(ა) სიმღერა : მისამღერი

(ბ) ნაბადი : მენაბდე

(გ) ურემი : ურმული

(დ) ბუჩქი : ბუჩქნარი

2. მაგიდა : სკამი

(ა) დანა : ჩანგალი

(ბ) სუფრა : ქსოვილი

(გ) ლამბაქი : ჭურჭელი

(დ) დოქი : სასმელი

3. კოცონი : ფიხის შეგროვება

(ა) ურიკა : ტვირთის დადება

(ბ) ჭა : წყლის ამოხაპვა

(გ) ღვინო : ყურძნის დაწურვა

(დ) ხილი : გემოს გასინჯვა

4. ბურთი : მრგვალი

(ა) ბალახი : ნორჩი

(ბ) რძე : აჭრილი

(გ) მიწა : ნაყოფიერი

(დ) თაფლი : ტკბილი

5. მესხიერება : გულმაგიწყი

- (ა) ფანტაზია : რეალური
- (ბ) ემოცია : ნაღვლიანი
- (გ) ყურადღება : დაბნეული
- (დ) აზროვნება : სხარტი

6. კომპასი : მოგზაური

- (ა) მათრახი : მხედარი
- (ბ) გაკვეთილი : მასწავლებელი
- (გ) წამალი : ექიმი
- (დ) მოთხრობა : მწერალი

7. ქაღალდი : წიგნი

- (ა) ლიმონი : ციტრუსი
- (ბ) ფქვილი : ნამცხვარი
- (გ) ყველი : კარაქი
- (დ) ვაზი : მტევანი

8. ცხოველი : ფაფარი

- (ა) ფესვი : რტო
- (ბ) თევზი : ქვირითი
- (გ) ცხენი : ნალი
- (დ) ყვავილი : ეკალი

წინადადების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

9. სასწავლებელში საბუნებისმეტყველო საგანთა სწავლება ორი მიმართულებით მიმდინარეობს: თეორიული კურსის ----- პრაქტიკული მეცადინეობა ----- ტარდება.

- (ა) გახანგრძლივების გამო / აღარ
- (ბ) ნაცვლად / სისტემატურად
- (გ) დასრულების გამო / ყოველდღიურად
- (დ) პარალელურად / აუცილებლად

10. ბევრი სხვა -----, რომლებიც მარტო ნადირობენ, მგელი წარმატებული მონადირე მხოლოდ ----- ნადირობის წყალობით ხდება, რაც ნადირობის დროს ----- გულისხმობს.

- (ა) მტაცებლისგან განსხვავებით / ჯგუფური / ფუნქციების განაწილებას
- (ბ) მტაცებლის მსგავსად / ჯგუფური / დამოუკიდებლად მოქმედებას
- (გ) მტაცებლის მსგავსად / მარტო / ერთობლივ მოქმედებას
- (დ) მტაცებლისგან განსხვავებით / მარტო / თანამომქმეების აქტიურობას

11. მოზარდი, პატარასთან შედარებით, ხშირად თავს არიდებს თემატურ ნახატს, რადგან შიშობს, რომ -----, როგორც ჩაიფიქრა. მიუხედავად ამისა, მოზარდების ნახატების თემატიკა გაცილებით მრავალფეროვანია. ეს ----- ისინი ხატვის ტექნიკას ----- .

- (ა) ისე ვერ დახატავს / გასაკვირია, მით უფრო, რომ / მკვეთრად აღმჯობესებენ
- (ბ) ისე დახატავს / არცაა გასაკვირი, რადგან / კარგად ვერ ფლობენ
- (გ) ისე დახატავს / გაუფებარია იმიტომ, რომ / მუდმივად ხვეწენ
- (დ) ისე ვერ დახატავს / ბუნებრივია, ვინაიდან / უკეთ ფლობენ

12. თავისთავად უცხო კაპიტალის შეჭრა ----- ამა თუ იმ ქვეყნისთვის, თუ მას წინ განვითარებული შეგნება და პოლიტიკური ძალა ----- . მაგრამ როცა ქვეყანა ეროვნულ შეგნებასა და სახელმწიფო ძალას ----- , უცხო კაპიტალის გავლენა ----- .

- (ა) სრულიად არ წარმოადგენს საფრთხეს / არ ეგებება / მოკლებულია / განმავითარებელ ფაქტორად იქცევა
- (ბ) სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს / არ ეგებება / არ არის მოკლებული / ძალზე სახიფათო ფაქტორად იქცევა
- (გ) სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს / ეგებება / არ არის მოკლებული / პირდაპირ გამანადგურებელი ხდება
- (დ) სრულიად არ წარმოადგენს საფრთხეს / ეგებება / მოკლებულია / პირდაპირ გამანადგურებელი ხდება

13. დამწერლობის ძირითადი დანიშნულებაა რაიმე ----- და არა ----- მიღწევა. ----- დამწერლობა ყოველთვის ----- ზემოქმედების ელემენტს.

- (ა) ცნობის ჩაწერა და გადაცემა / მხატვრული ეფექტის / მიუხედავად ამისა, / შეიცავდა ესთეტიკური
- (ბ) ინფორმაციისადმი შემოქმედებითი მიდგომა / ესთეტიკური ზემოქმედების / სწორედ ამიტომ / გულისხმობდა ესთეტიკური
- (გ) ინფორმაციის ესთეტიკურად გადმოცემა / მხატვრული ეფექტის / შესაბამისად, / როდი გულისხმობდა ესთეტიკური
- (დ) ინფორმაციის ზუსტად გადაცემა / ფსიქოლოგიური ზემოქმედების / მიუხედავად ამისა, / არ შეიცავდა ესთეტიკური

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

14. დილაადრიან მგელმა აკელამ თვალი მოჰკრა მსუქან კურდღელს ნენის და გაეკიდა მას.

- თუ აკელა ნენის დაეწევა, ნენი აკელას ცოცხალი ვერ გადაურჩება
- თუ ნენი აკელას ცოცხალი ვერ გადაურჩება, შუადღისას აკელა მაძღარი დაიძინებს
- შუადღისას აკელას შიმშილისგან არ დაეძინა

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან აუცილებლად?

- (ა) აკელა დაეწია ნენის და ნენი აკელას ცოცხალი ვერ გადაურჩა
- (ბ) აკელა დაეწია ნენის, მაგრამ ნენი აკელას ცოცხალი გადაურჩა
- (გ) აკელა ვერ დაეწია ნენის და ნენი აკელას ცოცხალი ვერ გადაურჩა
- (დ) აკელა ვერ დაეწია ნენის და ნენი აკელას ცოცხალი გადაურჩა

15. ზაფხულის ერთ დღეს სოფომ ახალ საპარიკმახეროში წასვლა გადაწყვიტა.

შესასვლელში მას ამ საპარიკმახეროს დამლაგებელი გამოელაპარაკა, რომელსაც ქული ეხურა. სოფოს შეკითხვაზე: "რატომ გახურავთ ქული ამ სიცხეში?", დამლაგებელმა უპასუხა: "პარიკმახერმა ზედმეტად მოკლედ შემჭრა თმა". სოფო სასწრაფოდ გამოვიდა საპარიკმახეროდან, რადგან დამლაგებლის ნათქვამის საფუძველზე ივარაუდა, რომ: ამ საპარიკმახეროში არაპროფესიონალები მუშაობენ.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი აყენებს ეჭვქვეშ ამ ვარაუდს?

- (ა) საპარიკმახეროში დამლაგებელს, როგორც საკუთარ თანამშრომელს, განსაკუთრებული მონღომებით შეჭრეს თმა
- (ბ) მიუხედავად იმისა, რომ დამლაგებელი ამ საპარიკმახეროს თანამშრომელია, მისთვის მომსახურება აქ უფასო არაა
- (გ) საპარიკმახერო არ სარგებლობს დიდი პოპულარობით
- (დ) დამლაგებელმა თმა სხვა საპარიკმახეროში შეიჭრა

16. დავუშვათ, რომ:

- არც ერთ მეთევზეს არ ჰყავს კატა
- ყველას, ვისაც არ ჰყავს კატა, ახურავს ქული

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან აუცილებლად?

- (ა) ყველა მეთევზეს ახურავს ქული
- (ბ) ყველა, ვისაც ახურავს ქული, მეთევზეა
- (გ) მხოლოდ ზოგიერთ მეთევზეს ახურავს ქული
- (დ) არც ერთ მეთევზეს არ ახურავს ქული

17. მაგიდაზე ოთხი ყუთი დევს შემდეგი თანმიმდევრობით: წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი.

თითოეულ ყუთში საბამ თითო ბურთი ჩადო: ერთში – წითელი, ერთში – ყვითელი, ერთში – მწვანე და ერთში – ლურჯი, მაგრამ ისე, რომ:

- არც ერთ ყუთში არ დევს ამავე ყუთის ფერის ბურთი
- არც წითელ და არც ყვითელ ყუთში არ დევს ლურჯი ბურთი

ყუთებში ბურთების განლაგების მოცემული ვარიანტებიდან რომელია შეუძლებელი?

- (ა) ყვითელი, წითელი, ლურჯი, მწვანე
- (ბ) მწვანე, წითელი, ლურჯი, ყვითელი
- (გ) მწვანე, ლურჯი, წითელი, ყვითელი
- (დ) ყვითელი, მწვანე, ლურჯი, წითელი

18. დავუშვათ, რომ:

- ბრძოლაში იმარჯვებენ ის მეომრები, რომლებსაც მტკიცე ხასიათი აქვთ, ან გონიერი სარდალი ჰყავთ, ანდა მოკავშირეები
- მეომრებმა ბრძოლაში ვერ გაიმარჯვეს

შემდეგი დებულებებიდან რომლით აიხსნება მათი დამარცხება?

- (ა) მეომრებს მტკიცე ხასიათი ჰქონდათ
- (ბ) მეომრებს არ ჰქონდათ მტკიცე ხასიათი, თუმცა მათ ჰყავდათ მოკავშირეები
- (გ) მეომრებს არ ჰყავდათ მოკავშირეები, მაგრამ ჰყავდათ გონიერი სარდალი
- (დ) მეომრებს არ ჰქონდათ მტკიცე ხასიათი, მათ არც გონიერი სარდალი და არც მოკავშირეები ჰყავდათ

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

დედამიწაზე არსებული მტაცებელი ფრინველების 62 პროცენტი სეზონურ გადაფრენას (მიგრაციას) ახორციელებს საბუდარ და საზამთრო ადგილებს შორის. საზოგადოდ, ამ მოვლენის ძირითადი მამოძრავებელი ძალა საკვების რაოდენობის სეზონური ცვლილებაა. მტაცებელთა უმრავლესობა, სხვა მრავალი ფრინველისგან (მაგ. წეროებისა და ბატებისგან) განსხვავებით, გუნდურად კი არ მიგრირებს, არამედ ცალ-ცალკე, ანუ ფართო "ფრონტით", რომელიც მოიცავს მრავალ სამიგრაციო გზას (საშემოდგომო და საგაზაფხულო სამიგრაციო გზები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს).

ისინი გადაფრენისას საკმაოდ მოხერხებულად ზოგავენ ენერგიას – იყენებენ მზით გამთბარი მიწის ზედაპირიდან ჰაერის ზეამავალ სითბურ ნაკადებს, ე.წ. თერმალებს, და ქარის ზეამავალ ნაკადებს. ჰაერის ზეამავალ ნაკადზე "დამჯდარი" ფრინველი ასრულებს ირაოს, იგი ნელ-ნელა ადის მაღლა მანამ, სანამ ამწევი ნაკადი თანდათან არ გაცივდება და შესუსტდება. ამის შემდეგ ფრინველი ლივლივის მეშვეობით "გადახტება" მახლობელ ახალწარმოქმნილ თბილ ნაკადზე და ირაოს მეშვეობით ისევ ზემოთ ადის. ასე ირაო-ლივლივის მონაცვლეობით შეუძლია დაფაროს 600 კმ დღეში.

ასეთი სამიგრაციო სტრატეგიის გამო მტაცებელი ფრინველები ერიდებიან ზღვისა და ტბების გადაფრენას იმ ადგილებში, სადაც წყლის ზედაპირის სიგანე 25 კმ-ზე მეტია, რადგან წყლის ზედაპირზე თერმალები და სხვა ზეამავალი ჰაერის ნაკადები არ წარმოიქმნება. ამაზე ნათლად მეტყველებს ამერიკისა და ევროპა-აფრიკის სამიგრაციო სისტემა. მრავალი მტაცებელი ფრინველი გადაფრენისას თავს იყრის ისეთ ადგილებში, სადაც წყლის ზედაპირის სიგანე მცირეა, როგორცაა პანამის არხი ცენტრალურ ამერიკაში, გიბრალტარის, მესინისა და ბოსფორის სრუტეები ევროპაში. რამდენიმე სამიგრაციო გზის თავმოყრის ადგილს სამიგრაციო დერეფანს ან "ძაბრს" უწოდებენ.

მტაცებელი ფრინველები მაღალი ქედების გადალახვასაც ერიდებიან და მათ შემოვლას ცდილობენ. ღრუბლიანი ამინდის დროს, როდესაც თერმალები სუსტდება, გადამფრენი მტაცებლები ფრენას წყვეტენ. უნდა აღინიშნოს, რომ შავარდნისებრთ და ძელქორებს გადაფრენისას უფრო აქტიური ფრენა სჩვევიათ და ამიტომ თერმალებზე ნაკლებად არიან დამოკიდებულნი. შესაბამისად, მათი სამიგრაციო გზები აშკარა ძაბრს არ ქმნის.

ევროპა-აფრიკის სამიგრაციო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძაბრი მდებარეობს საქართველოში, ბათუმის მახლობლად. ბათუმის ძაბრი საშემოდგომო გადაფრენისას ასე იქმნება: მტაცებელი ფრინველები დიდი კავკასიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილს გადმოლახავენ და ეშვებიან კოლხეთის დაბლობზე. ენერგიის დაზოგვის მიზნით ისინი ერიდებიან შავი ზღვის ზედაპირს, ლიხისა (სურამის) და მესხეთის ქედებს. ამიტომ მათი უმეტესი ნაწილი თავს იყრის ბათუმის მიდამოებში, შემდეგ საქართველო-თურქეთის საზღვარს გადაკვეთენ, თანდათან ისევ დასცილდებიან ერთმანეთს და განაგრძობენ ფრენას თბილი ქვეყნებისკენ.

19. რა თავისებურება ახასიათებს მტაცებელი ფრინველების მიგრაციას?

- (ა) მათი მიგრაციის საშემოდგომო და საგაზაფხულო გზები ერთმანეთს ემთხვევა
- (ბ) ისინი საბუდარ და საზამთრო ადგილებს შორის მიგრირებენ
- (გ) საბუდარი ადგილებიდან თბილი ქვეყნებისკენ ისინი მიფრინავენ ცალ-ცალკე
- (დ) ისინი საბუდარ ადგილებს ტოვებენ საკვები ბაზის სეზონურ ცვლილებებთან დაკავშირებით

20. რა არის თერმალები?

- (ა) ჰაერის ზეამავალი ნაკადები
- (ბ) ქარის ზეამავალი ნაკადები
- (გ) მიწის მზით გამთბარი მონაკვეთები
- (დ) წყლის სხვადასხვა თბილი დინება

21. "ირაო-ლივლივის მონაცვლეობის" მეშვეობით:

- (ა) ფრინველები ირჩევენ საშემოდგომო და საგაზაფხულო სამიგრაციო გზებს
- (ბ) ფრინველები ფრენისას ინარჩუნებენ სიმაღლეს და ამასთანავე, ზოგავენ ენერჯიას
- (გ) ფრინველები ადვილად პოულობენ ახალწარმოქმნილ თერმალებს
- (დ) ფრინველები არეგულირებენ თერმალებსა და ქარის ზეამავალ ნაკადებს

22. ამერიკისა და ევროპა-აფრიკის სამიგრაციო გზებზე დაკვირვების შემდეგ შეიძლება დავასკვნათ:

- (ა) წყლის ზედაპირზე წარმოიქმნება თერმალები და ჰაერის სხვა ზეამავალი ნაკადები
- (ბ) მტაცებელი ფრინველები წყლის ზედაპირზე გადაფრენისას ისეთივე სამიგრაციო გზებს ირჩევენ, როგორსაც წეროები და ბატები
- (გ) ზღვის ზედაპირზე წარმოქმნილი თერმალები ეხმარება ფრინველებს ირაოს შესრულებაში
- (დ) მტაცებელი ფრინველები ერიდებიან გადაფრენას იქ, სადაც წყლის ზედაპირი ძალზე ფართოა

23. რატომ წყვეტენ ფრენას ღრუბლიანი ამინდის დროს გადამფრენი მტაცებლები?

- (ა) ამ დროს წყლის ზედაპირი ცივდება
- (ბ) ამ დროს ქარის ზეამავალი ნაკადები ძლიერდება
- (გ) ღრუბლიანი ამინდის დროს სამიგრაციო გზა არ ჩანს
- (დ) ღრუბლიანი ამინდის დროს თერმალური სუსტდება

24. ძელქორებისა და შავარდნისებრთა სამიგრაციო გზები აშკარა "ძაბრს" არ ქმნის, რადგან:

- (ა) მათ მიგრირებისას გუნდად ფრენა სჩვევიათ
- (ბ) გადამფრენისას ისინი მოხერხებულად ზოგავენ ენერჯიას
- (გ) ისინი ნაკლებად არიან დამოკიდებული ჰაერის სითბურ ნაკადებზე
- (დ) ისინი ერიდებიან ქედების გადალახვას

25. რა მიმართება აქვს ბოლო აბზაცს ტექსტთან?

- (ა) ბოლო აბზაცში შეჯამებულია ტექსტში გამოთქმული მოსაზრებანი
- (ბ) ბოლო აბზაცში განზოგადებულია ტექსტში დაწყებული მსჯელობა
- (გ) ბოლო აბზაცში წარმოდგენილია ტექსტში განხილული საკითხის ერთი კონკრეტული ნიმუში
- (დ) ბოლო აბზაცში განხილულია ტექსტში გამოთქმულ მოსაზრებათა საწინააღმდეგო არგუმენტები

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

მაგალითად:

კენჭი : ქვა

(ა) ველოსიპედი : მანქანა

(ბ) ბილიკი : გზა

(გ) ოთახი : ბინა

(დ) ფოთოლი : ბუჩქი

სწორი პასუხია (ბ), რადგან მიმართება – "ბილიკი არის მომცრო გზა" – მსგავსია მიმართებისა – "კენჭი არის მომცრო ქვა".

26. მინდორი : ყვავილები

(ა) წინადადება : სიტყვები

(ბ) მზე : სხივები

(გ) ცა : ვარსკვლავები

(დ) რვეული : ფურცლები

27. ქამარი : ბალთა

(ა) კარმიდამო : მიწა

(ბ) ჭიშკარი : ურდული

(გ) ფარი : ხმალი

(დ) საყელო : პერანგი

28. ანკესი : ბადე

(ა) ყვავილი : თაიგული

(ბ) ზურგჩანთა : კარავი

(გ) მოტოციკლი : ავტობუსი

(დ) ისარი : მშვილდი

29. მეთაური : წინამძღოლი

(ა) ხელყუმბარა : ხელშუბი

(ბ) ხელსაწყო : ხელსაფქვავე

(გ) ხელწერილი : ხელნაწერი

(დ) ხელსახოცი : ხელსაწმენდი

30. შენობა : სასახლე

- (ა) ცეკვა : რიტმი
- (ბ) სიმღერა : იანანა
- (გ) პიესა : სპექტაკლი
- (დ) თამაში : სათამაშო

31. თეატრის სცენა : რეჟისორი

- (ა) ფეხბურთის მოედანი : მწვრთნელი
- (ბ) ცირკის არენა : ჯამბაზი
- (გ) დარბაზი : მაყურებელი
- (დ) რინგი : მსაჯი

32. წყალი : ჩანჩქერი

- (ა) ცომი : პური
- (ბ) ცეცხლი : კოცონი
- (გ) თივა : ჩალა
- (დ) მაჭარი : ღვინო

33. ფაფუკი : შეხება

- (ა) მძაფრი : გრძობა
- (ბ) ჭრელი : მხედველობა
- (გ) დახშული : სმენა
- (დ) უცნაური : წარმოსახვა

წინადადების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

34. გამოცდაზე ----- ის საკითხი შემხვდა, რომელიც ----- , მაგრამ მაინც ----- ფრიადზე.

- (ა) შემთხვევით \ საერთოდ არ ვიცოდი \ ვერ ვუპასუხე
- (ბ) სწორედ \ წინა დღეს გავიმეორე \ ვერ ვუპასუხე
- (გ) სამწუხაროდ \ კარგად ვიცოდი \ ვუპასუხე
- (დ) საბედნიეროდ \ წინა დღეს გავიმეორე \ ვუპასუხე

35. წარუმატებელი ადამიანები ----- ცხოვრობენ არსებული რეალობით. ----- , ისინი შინაგანად მიმართულნი არიან ----- .

- (ა) ყოველთვის / მიუხედავად ამისა / რეალურ განცდებსა და აწმყო სიტუაციებზე
- (ბ) იშვიათად / შესაბამისად / წარსულის მოგონებებზე ან მომავლის ლოდინზე
- (გ) არასოდეს / აქედან გამომდინარე / რეალურ განცდებსა და აწმყო სიტუაციებზე
- (დ) ხშირად / შესაბამისად / წარსულის მოგონებებზე ან მომავლის ლოდინზე

36. სასცენოდ გადაკეთებისას მოთხრობის არსი დაუმახინჯებიათ: მოთხრობის მთავარი პერსონაჟი - ----- დედაკაცი სცენაზე გადაიქცა ----- ქალად. მიზეზი ამისა ის არის, რომ მოთხრობაში მისი ხასიათი გამოხატულია ----- , სცენაზე კი - ----- .

- (ა) სენტიმენტალური, ყბედი / ძლიერ, შეუღრეკელ / მოქმედებით, საქციელით / მხოლოდ სიტყვებითა და რეპლიკებით
- (ბ) ძლიერი, შეუღრეკელი / ყბედი, სენტიმენტალური / მხოლოდ სიტყვებითა და რეპლიკებით / მოქმედებით, საქციელით
- (გ) სენტიმენტალური, ყბედი / ძლიერ, შეუღრეკელ / მოზომილი სიტყვითა და მოქმედებით / მხოლოდ რეპლიკებითა და ქცევით
- (დ) ძლიერი, შეუღრეკელი / ყბედი, სენტიმენტალური / მოქმედებით, საქციელით / მხოლოდ სიტყვებითა და რეპლიკებით

37. საკუთარი დამწერლობისადმი ერების ერთგულებას ყველაზე კარგად ესპანეთის ებრაელებსა და არაბებზე დაკვირვება გვიდასტურებს. პირველნი ესპანეთში არაბთა ბატონობის დროს ----- შექმნილი მნიშვნელოვანი ლიტერატურა დაგვიტოვეს, მაგრამ იგი ----- იყო დაწერილი. ასევე, არაბებმა მშობლიურ ენად ----- და ამ ენაზე შექმნეს ბრწყინვალე ლიტერატურა, რომელიც ----- იყო შესრულებული.

- (ა) არაბულად ლაპარაკობდნენ და არაბულ ენაზე / მათივე საკუთარი ებრაული ანბანით / ესპანური შეითვისეს / არაბული დამწერლობით
- (ბ) არაბულად ლაპარაკობდნენ და ესპანურ ენაზე / მათივე საკუთარი ებრაული ანბანით / ესპანური შეითვისეს / ესპანური ანბანის გამოყენებით
- (გ) ებრაულ ენაზე ლაპარაკობდნენ და ებრაულ ენაზე / არაბული ანბანით / ესპანური ვერ შეითვისეს / ებრაული დამწერლობით
- (დ) ებრაულ ენაზე ლაპარაკობდნენ და ესპანურ ენაზე / არაბული ანბანით / არაბული შეითვისეს / ესპანური ანბანის გამოყენებით

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

38. კოდალა, შოშია, გუგული და ჩხიკვი სიმინდის მარცვალს შემოუსხდნენ (არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით). ამ მარცვალს ისინი ნისკარტით უგორებდნენ ერთმანეთს იმ წესის დაცვით, რომ მარცვლის გაგორება მხოლოდ მარცხნივ მჭდომისთვის შეიძლებოდა. სიმინდის მარცვალი ჩხიკვისგან ახლა შოშიამ მიიღო.

რომელი ფრინველი მიიღებს სიმინდის მარცვალს კიდევ ოთხი გაგორების შედეგად?

- (ა) კოდალა
- (ბ) გუგული
- (გ) შოშია
- (დ) ჩხიკვი

39. დავუშვათ რომ:

- ყველა მევიოლინეს უყვარს პოეზია
- ორკესტრის ზოგიერთ მუსიკოსს არ უყვარს პოეზია

თუ ეს დებულებები ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი?

- (ა) პოეზიის მოყვარული ზოგიერთი მუსიკოსი არ არის მევიოლინე
- (ბ) მხოლოდ მევიოლინეებს უყვართ პოეზია
- (გ) მევიოლინეები ორკესტრის მუსიკოსები არიან
- (დ) მხოლოდ მევიოლინეები არიან ორკესტრის მუსიკოსები

40. ნადვის ხის ირგვლივ ხუთი ბავშვი დგას ხელჩაკიდებული. კახას იასთვის აქვს ხელი ჩაკიდებული, სოსოს – მაკასთვის, მაკას კი – თედოსთვის.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შემთხვევაა შეუძლებელი?

- (ა) იას ხელი აქვს ჩაკიდებული თედოსთვის
- (ბ) თედოს ხელი აქვს ჩაკიდებული კახასთვის
- (გ) სოსოს ხელი აქვს ჩაკიდებული იასთვის
- (დ) კახას ხელი აქვს ჩაკიდებული მაკასთვის

41. ქალაქის A უბანი უფრო შემადლებულ ადგილას მდებარეობს, ვიდრე B უბანი. ბინები A უბანში უფრო ძვირია, ვიდრე B უბანში.

ნინომ ამის საფუძველზე ივარაუდა, რომ:

A უბანში ბინების სიძვირეს სწორედ ამ უბნის ადგილმდებარეობა განაპირობებს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელმა ფაქტმა შეიძლება განამტკიცოს ეს ვარაუდი?

- (ა) A უბანთან შედარებით, B უბანში ბინები უკეთესი პროექტის მიხედვითაა აშენებული
- (ბ) B უბანში გაცილებით უარესი ელექტრომომარაგებაა, ვიდრე A უბანში
- (გ) A უბანში ბინები უფრო პრესტიჟული სამშენებლო ფირმის მიერაა აშენებული, ვიდრე B უბანში
- (დ) B უბანთან შედარებით, A უბანში ქუჩები გაცილებით უფრო კეთილმოწყობილია

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

კავკასიონის ქედის გასწვრივ უძველესი დროიდან გავრცელდა კოშკურა საცხოვრებლები, რომელთა ნაშთები დღესაც შეინიშნება შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მაღალმთიან რეგიონებში. ბუნებრივია, საქართველოში კოშკების სიმრავლემ წარმოშვა უამრავი ლეგენდა და ფსევდოიმეცნიერული ჰიპოთეზა – მთებში კოშკები შუა საუკუნეებში გამოჩნდა და წარმოადგენდა ან გლეხების მიერ ფეოდალთა ციხესიმაგრეების მიბაძვით აგებულ ნაგებობებს, ან გაღარიბებული ფეოდალების საცხოვრებელს.

არსებული კოშკურა ანსამბლების დიდი ნაწილი აგებულია XIV-XVI საუკუნეებში, განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში. მაგრამ ეს გარემოება იმის საფუძველს არ გვაძლევს, რომ მათი წარმოშობა შუა საუკუნეებს მივაკუთვნოთ. კოშკურა საცხოვრებლები მთებში უნდა წარმოშობილიყო ბევრად უფრო ადრეულ ისტორიულ ეპოქაში – თემურ-გვაროვნული წყობის სტადიაზე. გარდა ამისა, ანტიკური ხანის ავტორები აღწერენ მსგავს ნაგებობებს ამიერკავკასიის და, კერძოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე. მაგალითად, რომელი მოღვაწე ვიტრუვიუსი თავის ტრაქტატში "არქიტექტურის შესახებ" აღწერს კოლხური კოშკურა სახლების ხის კონსტრუქციას და კოლხეთის კოშკებს საცხოვრებელთა უძველეს ტიპს მიაკუთვნებს. სვანეთში, სოფელ ხაიშში, ნაპოვნია კოშკურა სახლის ოქროს მოდელი – ამულეტი, რომელიც დათარიღებულია I საუკუნის მიწურულით ჩვ. წ. აღ.-მდე. სვანეთის სოფელ ხაიშში ნაპოვნი საცხოვრებელი კოშკის მოდელი თარიღდება პერიოდით, როდესაც ვიტრუვიუსმა კოლხეთის საცხოვრებელი კოშკები აღწერა, და იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო კოშკურა საცხოვრებლის გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო. ანტიკური წყაროების დიდი უმრავლესობა ქართველთა საცხოვრებელი კოშკების არსებობას უკავშირებს როგორც გარეშე მტრის შემოსევებს, ასევე შიდა კონფლიქტებს ქვეყნის დაბლობ და მთიან რეგიონებს შორის.

ჩრდილოეთ შუამდინარეთში აღმოაჩინეს თიხის მინიატურული ამულეტი ხის კოშკის გამოსახულებით, რომელიც საოცრად ჰგავს საქართველოში ნაპოვნი ოქროს ამულეტს. თუმცა ამ ორ მოდელს ოთხი ათასწლეული აშორებს ერთმანეთს, ისინი გამოსახავენ ფორმითა და ტიპით იდენტურ კოშკურა სახლებს. ძველ ეგვიპტესა და შუამდინარეთში კოშკურა საცხოვრებლის ფართო გავრცელებაზე მიუთითებს ადრეული პერიოდის იეროგლიფური ნიშნებიც, რომლებიც გარკვევით აღნიშნავენ თავდაცვით კოშკურა სახლს.

თუ რუკაზე საგანგებოდ მოვნიშნავთ ყველა რეგიონს, სადაც აღმოჩენილია სახლისიმაგრეები, თვალში მოგვხვდება ერთი კანონზომიერება: ძველ სამყაროში ისინი თავმოყრილია იქ, სადაც მდებარეობს დიდი სამთო მასივები – ჰიმალაი, კავკასიონი, ბალკანეთი და აპენინები, ამერიკაში – კორდილიერები და ანდეზები. მთელ მსოფლიოში კოშკურა საცხოვრებლების ასეთი განაწილება ამ სახის ნაგებობების ერთი წყაროდან გავრცელების თეორიის უმწეობაზე მიუთითებს. საფიქრებელია, რომ მსგავსმა გეოგრაფიულმა პირობებმა საზოგადოებრივი სტრუქტურის და, შესაბამისად, საცხოვრებლების სტრუქტურის მსგავსებაც განაპირობა.

მთიანი საქართველოს კოშკურა საცხოვრებლებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ერთ-ერთ წყაროს მსოფლიო კულტურის ისტორიისათვის, რადგან ამ მასალის საფუძველზე შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ ათასწლეულებით დაშორებულ ამ ძეგლთა აღდგენა, არამედ იმ საზოგადოებრივი სტრუქტურის შესწავლაც, რომელმაც მათი წარმოშობა განაპირობა.

42. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული? (უპასუხეთ I-II აბზაცის მიხედვით)

- (ა) ადრეულ ისტორიულ ეპოქაში მთიელნი ფეოდალთა ციხესიმაგრეების მიბაძვით აგებდნენ კოშკებს
- (ბ) არსებული კოშკურა ანსამბლები წარმოადგენს შუა საუკუნეებში გაღარიბებულ ფეოდალთა საცხოვრებლებს
- (გ) შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მაღალმთიან რეგიონებში კოშკურა ნაგებობები XIV-XVI საუკუნეებში უნდა წარმოშობილიყო
- (დ) კავკასიონის ქედის გასწვრივ გავრცელებული კოშკურა საცხოვრებლების წარმოშობა თემურ-გვაროვნული წყობის სტადიას უნდა მივაკუთვნოთ

43. ტექსტიდან ვიგებთ, რომ:

I. ანტიკური ხანის ავტორები აღწერენ ამიერკავკასიის და, კერძოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ კოშკურა ანსამბლებს.

II. ვიტრუვიუსი თავის ტრაქტატში "არქიტექტურის შესახებ" აღწერს კოლხური კოშკურა სახლების ხის კონსტრუქციას.

III. დღეს არსებული კოშკურა ანსამბლების დიდი ნაწილი აგებულია განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში.

IV. სვანეთის ერთ-ერთ სოფელში ნაპოვნია კოშკურა სახლის ოქროს მოდელი, რომელიც თარიღდება I საუკუნის მიწურულით ჩვ. წ. აღ.-მდე.

რომელი სამი არგუმენტი განამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს მთებში კოშკურა სახლები შუა საუკუნეებამდე გაცილებით ადრე წარმოიშვა?

- (ა) I, II და IV
- (ბ) I, II და III
- (გ) II, III და IV
- (დ) III, IV და I

44. როდის მოღვაწეობდა ვიტრუვიუსი?

- (ა) XVI საუკუნის I ნახევარში
- (ბ) XIV საუკუნის II ნახევარში
- (გ) I საუკუნის II ნახევარში ჩვ. წ. აღ.-მდე
- (დ) ჩვ. წ. აღ.-ის II საუკუნის I ნახევარში

45. საქართველოს მთიან რეგიონებში კოშკურა ნაგებობების გავრცელება უკავშირდება:

- (ა) მთიელთა შორის გაცხოველებულ ურთიერთობას, რომელსაც მათი კულტურის მსგავსება განაპირობებდა
- (ბ) ქვეყნის დაბლობ და მთიან რეგიონებს შორის კონფლიქტებს, ასევე გარეშე მტრის შემოსევებს
- (გ) კავკასიონის, კორდილიერებისა და ანდების კოშკურა საცხოვრებლების გავრცელების საერთო წყაროს
- (დ) ანტიკური ხანის წერილობითი წყაროების გავლენას კოლხურ არქიტექტურაზე

46. რომელი ქვეყნის დამწერლობაში აისახა კოშკის ფორმა?

- (ა) ანტიკური საბერძნეთის
- (ბ) ძველი რომის
- (გ) კოლხეთის
- (დ) ძველი ეგვიპტის

47. ტექსტის მიხედვით, რომელი ღებულება არაა მართებული?

- (ა) კოშკები საზოგადოებრივი სტრუქტურის აღდგენას ემსახურება
- (ბ) კოშკები საცხოვრებლის ფუნქციას ასრულებდა
- (გ) კოშკებს თავდაცვის მიზნით აგებდნენ
- (დ) კოშკურა ნაგებობები ძირითადად მთიან რეგიონებში გვხვდება

48. ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი აყენებს ეჭვქვეშ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კოშკურა ნაგებობების ერთი წყაროდან გავრცელების თეორიას?

- (ა) იეროგლიფურ ნიშნებში თავდაცვითი კოშკურა სახლის გამოსახვა
- (ბ) ანტიკური ხანის ავტორთა მიერ კოშკურა სახლების კონსტრუქციების აღწერა
- (გ) კოშკურა ნაგებობების თიხისა და ოქროს მოდელების აღმოჩენა
- (დ) კოშკურა ნაგებობების განლაგება სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილას

49. რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოს მთიან რეგიონებში გავრცელებული კოშკურა საცხოვრებლების შესწავლა?

- (ა) ის ერთ-ერთი წყაროა მსოფლიო კულტურის ისტორიის კვლევისათვის
- (ბ) ის გვეხმარება ძველევგვიპტური და შუამდინარული იეროგლიფების გაშიფრვაში
- (გ) უფრო გასაგები ხდება ვიტრუვიუსის ტრაქტატი „არქიტექტურის შესახებ“
- (დ) შეგვიძლია წარმოვიდგინოთ XIV-XVI საუკუნეების ქართველ ფეოდალთა ყოფა

50. რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?

- (ა) კავკასიონის ქედის გასწვრივ შემორჩენილი კოშკების ნაშთები უამრავი ლეგენდის წარმოშობის საფუძველია
- (ბ) ათასწლეულებით დაშორებულ ძეგლთა აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ კოშკურა საცხოვრებლების შესახებ ისტორიული მასალის საფუძველზე
- (გ) საქართველო კოშკურა საცხოვრებლების გავრცელების ერთადერთი მნიშვნელოვანი კერაა
- (დ) თავდაცვითი კოშკების წარმოშობა სხვადასხვა სამთო მასივებში მსგავსმა საზოგადოებრივმა სტრუქტურამ განაპირობა

მათემატიკური ნაწილი

ტესტის მათემატიკურ ნაწილზე მუშაობისას გაითვალისწინეთ:

- ნახაზები, რომლებიც ერთვის ზოგიერთ დავალებას, არაა შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე;
- თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვამი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი – წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები:

1. ნული არც დადებითია და არც უარყოფითი;

1 არ არის მარტივი რიცხვი.

2. პროცენტი: a რიცხვის $k\%$ არის $a \cdot \frac{k}{100}$.

3. ხარისხი: $a^n = a \cdot a \cdot a \cdot \dots \cdot a$ (n -ჯერ)

$$a^n \cdot a^m = a^{n+m}$$

$$a^n : a^m = a^{n-m}$$

$$(a^n)^m = a^{n \cdot m}$$

4. პროპორცია: თუ $\frac{a}{b} = \frac{c}{d}$, მაშინ $ad = bc$.

5. სიჩქარე: $\text{სიჩქარე} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$

6. საშუალო არითმეტიკული:

$$\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდენობა}}$$


7. შემოკლებული გამრავლების ფორმულები:

$$(a+b)^2 = a^2 + 2ab + b^2$$

$$(a-b)^2 = a^2 - 2ab + b^2$$

$$(a+b)(a-b) = a^2 - b^2$$


8. ნახაზზე კუთხე შეიძლება კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით იყოს მონიშნული, მართი კუთხე კი – პატარა კვადრატით.



$\angle A$ აღნიშნავს A კუთხის სიდიდეს.

9. პარალელური წრფეები:

• ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია: $\alpha = \beta$.




10. სამკუთხედი:

- სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 180° -ის ტოლია;

- პითაგორას თეორემა:

მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრატი კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის ტოლია:



$$AB^2 = AC^2 + BC^2$$

- სამკუთხედის ფართობი სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია: $S = \frac{ah}{2}$.

11. ოთხკუთხედი:

- ოთხკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 360° -ის ტოლია;
- მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია: $S = ab$;
- პარალელოგრამის ფართობი მისი გვერდის სიგრძისა და ამ გვერდის შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $S = ah$.

12. წრე, წრეწირი:

- წრეწირის სიგრძე L მისი რადიუსის მიხედვით გამოითვლება ფორმულით: $L = 2\pi r$;




π რიცხვი, მესამედის სიზუსტით, 3,14-ის ტოლია;

- r რადიუსიანი წრის ფართობი გამოითვლება ფორმულით: $L = \pi r^2$.

13. მართკუთხა პარალელებიპედი:

- მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობა მისი სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $V = abc$;



- კუბის შემთხვევაში: $a = b = c$.

რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ A სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);


თუ B სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	A	B	
51.	$(4-3)^3$	$(3-1)^2$	(ა) (ბ) (გ) (დ)
52.	$75648 \cdot 256 - 1$	$75643 \cdot 253 + 1$	(ა) (ბ) (გ) (დ)
53.	$a > 0, b > 0$ $a - b$	0	(ა) (ბ) (გ) (დ)
54.	$\frac{4}{9}$	$0,5$	(ა) (ბ) (გ) (დ)
55.	ABC მართკუთხა სამკუთხედში $\angle C = 90^\circ$ და $\angle A < \angle B$. $\angle A$	45°	(ა) (ბ) (გ) (დ)
56.	16-ის და 20-ის უდიდესი საერთო გამყოფი	12-ის და 28-ის უდიდესი საერთო გამყოფი	(ა) (ბ) (გ) (დ)

57.	$-4a^2 + 3a$	$(-2a)^2 + 3a$	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	--------------	----------------	-----------------


58.	ოთხკუთხა პირამიდის სულ 5 წახნაგი აქვს.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	შვიდკუთხა პირამიდის წახნაგების რაოდენობა	მართკუთხა პარალელეპიპედის წახნაგების რაოდენობა	

ამოცანები

59. რამდენჯერაა ნაკლები უდიდესი ორნიშნა რიცხვი უდიდეს ოთხნიშნა რიცხვზე?

- (ა) 2-ჯერ
- (ბ) 99-ჯერ
- (გ) 100-ჯერ
- (დ) 101-ჯერ
- (ე) 900-ჯერ

60. რიცხვთა ღერძი მასზე მონიშნული წერტილებით დაყოფილია ტოლ მონაკვეთებად (იხ. ნახაზი). მონიშნული წერტილებიდან A და B წერტილების კოორდინატები მითითებულია ნახაზზე. C წერტილის კოორდინატია:



- (ა) 1,9
- (ბ) 2,9
- (გ) 3,3
- (დ) 3,5
- (ე) 3,7

61. მას შემდეგ, რაც გაჩერებაზე ტროლეიბუსიდან 11 მგზავრი ჩავიდა, ხოლო 7 მგზავრი ამოვიდა, ტროლეიბუსში 29 მგზავრი აღმოჩნდა. რამდენი მგზავრი ყოფილა ტროლეიბუსში ამ გაჩერებამდე?

- (ა) 18
- (ბ) 22
- (გ) 26
- (დ) 33
- (ე) 36

62. კინოსეანსი 18 საათზე დაიწყო. რომელ საათზე დასრულდება სეანსი, თუ ის 95 წუთს გრძელდება?

- (ა) 18 სთ 35 წთ
- (ბ) 18 სთ 55 წთ
- (გ) 19 სთ 25 წთ
- (დ) 19 სთ 35 წთ
- (ე) 19 სთ 55 წთ

მონაცემთა ანალიზი

ცხრილში მითითებულია, თუ რამდენი ლარი იყო ზოგიერთი საკვები პროდუქტის საშუალო ფასი სხვადასხვა წელს (1995 წლიდან 1998 წლის ჩათვლით)

	1995	1996	1997	1998
საქონლის ხორცი (1 კგ)	3.72	3.30	3.80	4.10
ღორის ხორცი (1 კგ)	3.88	3.70	4.00	4.20
ქათამი (1 კგ)	4.62	4.50	4.00	3.62
